

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის

მიერ 2018 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

გაწვევის განყოფილება



2018 წელს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწეული იქნა **108** წვევამდელი, მათ შორის:

1. შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო სავალდებულო სამსახურში-38 წვევამდელი;
2. იუსტიციის სამინისტროს სპეციალურ პენიტენციურ სამხედრო სამსახურში - 25 წვევამდელი;
3. თავდაცვის სამინისტროს სამხედრო სამსახურში- 45 წვევამდელი.

2018 წლის გამწვევ კომისიაზე სულ გამოძახებული იქნა **1880** წვევამდელი.

ჩატარდა 38 გამწვევი კომისიის სხდომა, სხდომაზე გამოცხადდა **729** წვევამდელი;

მიღებული იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

„ სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ “ საქართველოს კანონით სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან გადავადება მიეცა - **518** წვევამდელს; მათ შორის-

ჯანმრთელობის მიხედვით ერთ წლამდე - 39 წვევამდელს;

ცნობილი იქნა შეზღუდულად ვარგისად -80 წვევამდელი;

როგორც სტუდენტს- 165 წვევამდელს;

როგორც სკოლის მოსწავლეს - 92 წვევამდელს;

ორი შვილის მამას - 24 წვევამდელს;

ერთი შვილის მამას - 37 წვევამდელს;

ოჯახის მარჩენალს - 1 წვევამდელს;

მღვდელმსახურს - 13 წვევამდელს (მათ შორი ე.წ. "გირჩი" 9);

დედისერთას - 66 წვევამდელს;

პრემიერ მინისტრის ბრძანებით - 1 წვევამდელს;

1. სამხედრო სავალდებულო სამსახურიდან განთავისუფლდა - 21 წვევამდელი.

ქ. თბილისში გამწვევ - გამანაწილებელ პუნქტში 27 ეტაპად გადაყვანილი იქნა 372 წვევამდელი.

პოლიციაში გადაცემული იქნა კომისიაზე გამოსაცხადებელი 908 წვევამდელის მონაცემები, რის შედეგად გამოცხადდა 35 წვევამდელი.

წლის განმავლობაში გაიცა 175 წვევამდელის სამხედრო სააღრიცხვო მოწმობა.

2018 წელს პირველად სამხედრო აღრიცხვაზე აყვანილი იქნა 2001 წელს დაბადებული 435 წვევამდელი.

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 21 პუნქტი 3-ის (ზღვრული ასაკი) საფუძველზე, რეზერვში გადაირიცხა 406 წვევამდელი.

წლის განმავლობაში შემოსულია 1050 წერილი, ხოლო გასულია 432 წერილი.

წლის განმავლობაში შემოსულია 80 წვევამდელის პირადი საქმე და გასულია 51 პირადი საქმე.

სამხედრო გაწვევის განყოფილებაში აღრიცხვაზეა 3340 წვევამდელი;

სამხედრო სამსახურიდან გადავადებით 1580 წვევამდელი სარგებლობს.

გასაწვევი კონტიგენტია - 1760 წვევამდელი;

### **მობილიზაციის განყოფილება**

- აღრიცხვაზე იქნა აყვანილი და შეიქმნა სააღრიცხვო დოკუმენტაცია ზღვრული ასაკის 406 პირზე.

- აღრიცხვაზე იქნა აყვანილი და შეიქმნა სააღრიცხვო დოკუმენტაცია სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან დემობილიზირებულ 114 სამხედრო მოსამსახურეზე.

- შეიარაღებული ძალების საკონტრაქტო (პროფესიულ) სამხედრო სამსახურში გაწვეული იქნა 25 პიროვნება. მათზე მოძიებული იქნა სათანადო მასალები და შედგენილი იქნა პირადი საქმეები.

- **38** პირი ჩაირიცხა აქტიურ სამხედრო სარეზერვო სამსახურში.

- რეგისტრაციის მისამართის ცვლილებების გამო აღრიცხვიდან მოიხსნა და შესაბამის რეგისტრაციის მისამართზე გადაიგზავნა **31** რეზერვისტის სააღრიცხვო დოკუმენტაცია.

- შეტანილი იქნა ცვლილებები ქალაქისა და სოფლების მიხედვით სარეზერვო შეკრებებზე გასაწვევ პირთა სიებში.

- კანონმდებლობის შესაბამისად, ასაკობრივი ზღვრების მიხედვით აღრიცხვიდან იქნა მოხსნილი რეზერვისტთა ნაწილი.

- დამუშავდა თავდაცვის სარდლობის შტაბის G-1 სამსახურიდან მიღებული საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო სამსახურიდან დემობილიზირებულთა **18** პირადი საქმე და მათზე სამხედრო წოდებათა მიხედვით შეიქმნა სააღრიცხვო მასალები.

- ძალოვანი სტრუქტურებიდან შემოსული მომართვების საფუძველზე წლის განმავლობაში შეტანილი იქნა სათანადო ცვლილებები სპეციალურ აღრიცხვის კარტოტეკაში.

- შედარებული იქნა ოფიცრებისა და სერჟანტების კარტოტეკა სააღრიცხვო მონაცემებთან.

- მომსახურეობა გაეწია სამამულო ომისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში მონაწილეებსა და მათი ოჯახის წევრებს მათთვის საჭირო ინფორმაციისა და მასალების მისაწოდებლად.

- პასუხი გაეცა განყოფილებაში სხვადასხვა სტრუქტურებიდან შემოსულ კორესპოდენციებს.

მობილიზაციის განყოფილებაში აღრიცხვაზეა 27 - 40 წლამდე 4718 რეზერვისტი;

აქედან: **1870** რეზერვისტი ნამსახურია შეიარაღებულ ძალებში, ხოლო **2848** რეზერვისტს არ უმსახურია;

აღრიცხვაზეა **743** ოფიცერი;

აღრიცხვაზეა უმაღლესი განათლების მქონე **388** სერჟანტი და რიგითები.

